



983/3-113/22 2 04022022

983/3-113/22
04-02-2022


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
მიხეილ ჩხენკელს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

1. გთხოვთ, მომაწოდოთ 2017 წლიდან დღემდე წლების მიხედვით სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა კონკრეტული საფუძვლის მითითებით.
2. სახელმწიფოს ხედვა სტატუს შეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით, რა გეგმა აქვს სამინისტროს, რა ნაბიჯები გადაიდგა მათი რაოდენობის შესამცირებლად და რა იგეგმება უახლოეს პერიოდში, იმ სტატუს შეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით, რომელებსაც ფინანსური პრობლემების გამო აქვთ სტატუსი შეჩერებული.
3. სტატუს შეჩერებული სტუდენტებიდან რამდენს გაუუქმდა სტუდენტის სტატუსი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



25/02/2022



MES 4 22 0000199196

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 04 თებერვლის N983/3-113/22 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N112229; 04.02.2022) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებულ მოთხოვნილ ინფორმაციას ცალკეული კალენდარული წლის განმავლობაში (პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოცემული სტატუსის შეჩერების ბრძანებების რაოდენობების, ჩაშლილ ბრძანებების კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აღირიცხება საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

**წლიურად სტატუსის შეჩერებების სტატისტიკა
შეჩერების მიზეზი**

წელი

	2017	2018	2019	2020	2021
სტატუსის შეჩერება (სხვა მიზეზი)	16020	21620	18670	18699	21286
სტატუსის შეჩერება ავადმყოფობის გამო	120	128	98	76	104
სტატუსის შეჩერება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო	132	163	138	99	64
სტატუსის შეჩერება საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის გამო	81	59	51	21	34
სტატუსის შეჩერება ფინანსური დავალიანების გამო	21765	22010	20312	14858	18203

ამასთან გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა,

გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. ამასთან, გაცნობებთ, რომ ა) სტატუსშეჩერებულ სტუდენტს აქვს უფლება გაიაქტიუროს სტატუსი და ბ) სტუდენტმა სტატუსი შეიძლება შეიჩეროს რამდენჯერმე. გ) ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სტატუსშეჩერებული სტუდენტი შეიძლება აქტიური იყოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ. შესაბამისად, მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირება განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე ყველა მითითებული მიზეზის გათვალისწინებით, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების შესახებ.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით სტატუსშეჩერებულ სტუდენტს სტატუსი უწყდება შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წელს სტატუსშეჩერებული სტუდენტებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო სტატუსი შეუწყდა სხვადასხვა მიზეზით სტატუსშეჩერებულ 201 სტუდენტს.

გარდა ამისა, მაგალითის სახით წარმოგიდგენთ 2020 წლის სტატუსშეჩერებულთა ანალიზს. კერძოდ, 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზაში ფიქსირდებოდა 235 353 სტუდენტი, რომელთაგან სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 75 000 სტუდენტს, მათ შორის ფინანსური დავალიანების გამო - 30 224 სტუდენტს. თუმცაღა მონაცემთა ბაზებში შეყვანილია ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სტუდენტი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები და ასევე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე რიცხული პირები. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ ის პირები, რომლებიც სწავლის უფლებას მოიპოვებენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად. შესაბამისად, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობაში გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საქართველოს მოქალაქე სტუდენტები და მათი რიცხვი შეადგენდა 59 416 სტუდენტს, აქედან ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 25 086 სტუდენტს.

საგულისხმოა, რომ 25 086 ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტით სრულად ისარგებლა 1535 სტუდენტმა, პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსებით - 370, ხოლო სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით 284. უმაღლესი განათლების კანონის საფუძველზე პირი ერთ საფეხურზე ერთხელ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, 2189 სტუდენტს ამოეწურა სახელმწიფო გრანტი და სტატუსი შეჩერებული აქვთ დამატებით სემესტრში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზების მონაცემთა ანალიზის შედეგად შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტებიდან 3200 სტუდენტი აქტიურია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 1200-ს სტუდენტს ორ უმაღლეს დაწესებულებაში აქვს შეჩერებული სტატუსი. შესაბამისად, რეალურად 59416 სტუდენტიდან სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 55 016 სტუდენტს, მათ შორის ფინანსური დავალიანების გამო - 20 000-მდე სტუდენტს.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული ლოგიკით დათვლილი მონაცემების ცხრილს 2017 – 2021 წლების ჭრილში.

სულ	სტუდენტები	შეჩერებული	შეჩერებულების % მ/შ ფინანსური	%
თარიღი				

01.04.2017	188172	43661	23%	14016	7%
01.11.2017	205496	45181	22%	15078	7%
01.04.2018	201986	48624	24%	16294	8%
01.11.2018	212643	53932	25%	17206	8%
01.04.2019	211614	53574	25%	15934	8%
01.11.2019	225178	53628	24%	17875	8%
01.04.2020	220141	59076	27%	19874	9%
01.11.2020	237017	55122	23%	17654	7%
01.04.2021	230624	49849	22%	18218	8%
01.11.2021	247777	54417	22%	20797	8%

2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით ფინანსური დავალიანების გამო 2017 წლის მდგომარეობას დაუბრუნდა 7 %. ამის ახსნა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიძლება. კერძოდ, კოვიდპანდემიის გამო სოციალური დახმარების ფარგლებში (150 000 ქულა და ნაკლები) სწავლა დაუფინანსდა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 15 015 სტუდენტს 15 812 630,00 ლარით , ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანება აუნაზღაურდა 1 588 სტუდენტს 1 033 465,00 ლარით.


საგულისხმოა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტთა სწავლა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება ყოველწლიურად 100 მილიონის ფარგლებში, მაგ.: სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტი, სოციალური პროგრამები, პრიორიტეტული პროგრამები და ა. შ.

გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ასევე გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები, თვეში 150 ლარის ოდენობით 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ სტუდენტებზე, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სტუდენტურ კონფერენციებში აქტიური მონაწილეობით. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 2018 წელს იყო 4,100,000.0 ლარი, ხოლო 2022 წელს ბიუჯეტმა შეადგინა 4,500,000.0 ლარი. შესაბამისად, სახელმწიფო სტიპენდია ყოველ სემესტრულად გაიცემა საშუალოდ 3000 სტუდენტზე.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი - საქართველო I2Q (IBRD)“. პროექტი მიზნად ისახავს ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებასა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამ მიზნით, ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, გაანალიზებული და წარმოდგენილია უმაღლესი განათლების დაფინანსებისათვის უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტთა რეკომენდაციები, მათ შორის, შესრულებაზე დაფუძნებულ დაფინანსების მოდელთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'M. Chikvashvili', with a horizontal line drawn underneath the name.